

შპს „ბაკურიანი ბიზნეს ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

შპს „ბაკურიანი ბიზნეს ჯგუფი“ შემდგომში კომპანია დაარსდა 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. მარეგისტრირებული ორგანო ახალციხის საგადასახადო ინსპექცია, სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 226166163, იურიდიული მისამართია ბორჯომი დაბა ბაკურიანი დიდველის მიმდებარედ.

2016 წლის აპრილიდან 2019 წლის დეკემბრის ჩთვლით კომპანიის დამფუძნებელია 100% წილილით ვლადიმერ სტეფანიანი 11001005174.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცხოვრებელი და სატუმრო ტიპის ფართების მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, საცხოვრებელი ფართების გაყიდვა, მომსახურება, არასაცხოვრებელი კომერციული ფართის იჯარა.

კომპანიაში 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 20 კაცს, ხოლო დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობაა 19 კაცი.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური უწყისები მომზადებულია საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში. კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსით ლარში. სავალუტო ოპერაციების მიხედვით წარმოქმნილი სხვაობები აისახება საკურსო სხვაობის სახით შედეგზე.

დებიტორული დავალიანება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

შექნილი მასალების ღირებულება აისახება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება იდენტიფიცირების მეთოდით

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის, მონტაჟის, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირ ხარჯს.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენტების გასაცემად და სხვა მიზნით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდა მოუწევს საზოგადოებას.

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა, გასული და სამეურნეო წლის მოგებისაგან.

ახსნა განმარტებები ბალანსზე

1. ფულადი სახსრები

სალარო

საწარმოში შემოსული და გასული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში, შესაბამისად სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერების მიხედვით. სალაროს ნაშთმა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 165058 ლარი.

ბანკი

საბანკო ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილია ს.ს თიბისი ბანკსა და ს.ს საქართველოს ბანკში როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. საერთო ფულადი თანხა საბანკო ანგარიშებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 599931 ლარს

2. სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნებმა მიწოდებიდან და მომსახურებიდან შეადგინა 3213403 ლარი, ხოლო გადახდილმა ავანსებმა 240870 ლარი.

სხვა კომპანიაზე გაცემულმა სესხმა 2020 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 1752000 ლარი, ხოლო სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 108576 ლარს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეადგენს 730602 ლარი, მზა პროდუქციის ღირებულებაა 5944418 ლარი.

ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 14315962 ლარს, ხოლო მათ შორის მიწის ღირებულება 7530247 ლარს.

მონაწილეობა სხვა კომპანიის კაპიტალში შენატანით შეადგენს

ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილმა ვალდებულებებმა 2020 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 1118973 ლარი, გადასახდელმა ხელფასმა 28492 ლარი, ხოლო მიღებულმა ავანსებმა შეადგინა 12202892 ლარი.

კომპანიას აღებული აქვს სესხი თიბისი ბანკიდან, მიმდინარე სასესხო ვალდებულებებმა შეადგინა 638142 ლარი, ხოლო გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 4474214 ლარი

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალია 15700 ლარი, კომპანიის გაუნაწილებელი მოგებაა 8576725 ლარი.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	764988	38317	369865
სავაჭრო მოთხოვნები	3213403	732892	134032
გადახდილი ავანსები	240870	164209	96289
მარაგები	6725020	8951416	5940538
მზა პროდუქცია	5994418	8888519	5654138
სხვა	730602	62897	286400
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	1752000	1213977	182692
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0
ძირითადი საშუალებები	14315962	11731810	4101734
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	42900	1323375	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	27055143	24155996	10825150
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	8400	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1110573	3418923	200818
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	28492	41659	104200
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	638142	758177	173140
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4474214	4564632	2737002
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	12202897	10114729	5853220
სულ ვალდებულებები	18462718	18898120	9068380
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	15700	65700	195667
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	8576725	5192176	1561103
გადაფასების რეზერვი	0	0	0

სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	8592425	5257876	1756770
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	27055143	24155996	10825150

ახსნა განმარტებები მოგება-ზარალზე

2020 წელში ბინების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 12720754 ლ, მომსახურების მოსაკრებლიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 400386 ლარი, სხვა შემოსავალმა 207771 ლარი.

წლის განმავლობაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაა 198076 ლარი, ცვეთა და ამორტიზაცია 425727 ლარი, საპროცენტო ხარჯია 476424. რეკლამის ხარჯებია 125185, მარკეტინგული ხარჯები 45394 ლარი, კომუნალური გადასახადები 275460 ლარი, კომუნიკაციის ხარჯები 39530 ლარი, სხვა საგადასახადო ხარჯი 75929 ლ, ტრანსპორტირების ხარჯი 32600ლ, საკონსულტაციო ხარჯები 17642 სხვა საოპერაციო ხარჯებია 21322.

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2020	2019
ნეტო ამონაგები	13328911	9165970
საქონლის გაყიდვიდან	74035	8794587
მომსახურების გაწევიდან	534122	361559
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	12720754	0
სხვა	0	9824
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7632453	3293343
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	5696458	5872627
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-198076	-177616
ცვეთა და ამორტიზაცია	-425727	-63039
საპროცენტო შემოსავალი:	108576	9824
საპროცენტო ხარჯი :	-476424	-420660
იჯარის ხარჯი	-46271	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-767236	-586782

სულ საოპერაციო ხარჯები	-1805158	1238273
საოპერაციო მოგება	3891300	4634354
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	3891300	4634354
მოგების გადასახადი	128259	0
მოგება/(ზარალი)	4019559	4634354
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	4019559	4634354
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5257876	1756770
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-685010	-782075
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-221206
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-129967
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8592425	5257876

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5065735	3833789
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2311046	4922937
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	2060760	769240
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	693929	-319908
სავალუტო კურსის ეფექტი	32742	-11640
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	38317	369865
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	764988	38317

მთ. გულაშვილი